საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

12 მარტი, 2018 წელი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №189/17

-- -- 2017 წლის 30 ოქტომბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 26 თებერვლის №189/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 12 მარტის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი -- აღნიშნავს, რომ -- რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის -- 2016 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით, საქმეზე --, დაკმაყოფილდა -- -- განცხადება და -- -- აღიარეს უგზო-უკლოდ დაკარგულად. გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. 2016 წლის 30 ნოემბერს, -- -- განცხადებით მიმართა -- მაგისტრატ სასამართლოს, -- -- გარდაცვლილად გამოცხადების თაობაზე, იმ საჭიროებისათვის, რომ მოეხდინა გარდაცვლილი ძმის მიუღებელი საანდერძო ქონების მიღება და

დარეგისტრირება საჯარო რეესტრში. სასამართლოს აზრის გათვალისწინებით აღნიშნული სარჩელი მოსარჩელემ გაიხმო. 2017 წელს 27 ივნისს, მან განმეორებით მიმართა სასამართლოს, თუმცა მოსამართლე --- - 2017 წლის 3 ივლისის განჩინებით, სარჩელი არ მიიღო განსახილველად. განჩინება არ გასაჩივრებულა. -- -- 2017 წლის 30 აგვისტოს, განმეორებით წარადგინა სარჩელი, თუმცა მოსამართლე -- -- 2017 წლის 4 სექტემბრის განჩინებით, კვლავ არ მიიღო სარჩელი წარმოებაში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორი მოსამართლეს ადანაშაულებს მოვალეობების არაჯეროვან შესრულებაში.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2017 წლის 27 ივნისს -- --, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ განცხადებით მიმართა -- რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლეს -- მუნიციპალიტეტში.

2017 წლის 3 ივლისის განჩინებით -- უარი ეთქვა განსახილველად მიღებაზე, აღნიშნული განჩინების თაობაზე განმცხადებელს ეცნობა 2017 წლის 6 ივლისის სატელოფონო აქტით.

2017 წლის 3 აგვისტოს, -- -- იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ განცხადებით კვლავ მიმართა -- რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლეს -- მუნიციპალიტეტში.

2017 წლის 4 სექტემბრის განჩინებით -- -- უარი ეთქვა განცხადების მიღებაზე.

განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრდა -- სააპელაციო სასამართლოში -- -- მიერ.

-- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 19 ოქტომრბის განჩინებით, -- -- საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა -- რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის 2017 წლის 4 სექტემბრის განჩინება; საქმე არსებითად განსახილველად გადაეცა განმხილველ მოსამართლე -- --

მოსამართლე -- -- მიერ მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2018 წლის 8 თებერვალს, თუმცა ამავე დღეს განმცხადებელმა გაიხმო მის მიერ წარდგენილი განცხადება.

2018 წლის 8 თებერვლის განჩინებით -- -- განცხადება დაკმაყოფილდა და მისი განცხადება დარჩა განუხილველი, აღნიშნული განჩინება არ გასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალაში.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უდავო წარმოების წესით საქმეებს სასამართლო განიხილავს ამ კოდექსით დადგენილი წესებით. ამავე კანონმდებლობით განისაზღვრება სპეციალური მოთხოვნები, მათ შორის სასამართლოში წარსადგენი განცხადების შინაარსი, გარემოებები, რაც განმცხადებელმა უნდა გაითვალისწინოს. იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების დაცვით არ იქნება განცხადება წარდგენილი, მოსამართლეს აქვს უფლება არ მიიღოს იგი, ამასთან განუმარტოს მხარეს მიღებაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძვლები.

მოსამართლე -- -- შესაბამისი განჩინების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ამდენად იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ განცხადების განსახილველად მიღება/არ მიღების საკითხის შეფასება მის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენდა.

საქართველოს იუსტიციის საბჭო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, მისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე. განჩინების ამ მხრივ შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 12 მარტის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მესამე პუნქტითა და „საქართველოს საერთო სასამართლოების

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №189/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი